ცნობის ფურცელი

№ 1883 ოთხშაბათი, 31 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1883

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ყიოქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ქართული თეატრი
დღეს, 31 ივლისს
ცეცხლისაგან დაზარალებულ ცხინვალელების სასარგებლოდ
წარმოდგენილი იქნება რუსულად:

I
„როკოვოი დებიუტი“
ერთ-მოქმედებიანი ხუმრობა ლენსკისა.

II
„ვეროჩკინ სეკრეტ“
ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი ლისენკო-კონიჩისა

III
კონცერტის განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბნი ანენსკისა, ვეროვისა, ნილსკისა, პოლიაკი, ბ-ნნი ვეიმანი, ვლადიმიროვი, გრაბოვსკი, კაპელნიცკი, მერენბლიუმი, მალენკი, ნადეჟდინი და შურინი.

როიალი შრედერისა სუზანაჯიანის მაღაზიიდან.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა
დილით:

Მ. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

Ზ. Ზ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

Ი. Პ. ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

Ქ. Მ. ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

Ა. Ზ. ᲑᲐᲠᲡᲣᲙᲝᲕᲘ—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

Გ. Მ. ᲛᲐᲜᲡᲕᲔᲢᲝᲕᲘ—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

Ზ. Მ. ᲐᲛᲘᲐᲠᲓᲐᲜᲝᲕᲘ—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

Ზრ. Ვ. ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲡᲙᲘ—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

Მ. Ი. ᲘᲐᲜᲩᲔᲕᲡᲙᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

Ა. Ზ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

Ზ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სკინამეიდისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღის გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილი სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ქ. გორში,
ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲐᲖᲐᲠᲘᲡ ᲫᲔ
ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ლექსები
განდეგილისა
ავტორის სურათით,
ფასი ათი შაური,

იყიდება: ტფილისში წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—6)

ახალი წიგნი
შ. არაგვისპირელი
წიგნი მეორე
ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

საზღვარ-გარედ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. მოგვყავს ზღვათა მინისტრის კამილ პელტანის სიტყვა, რომელიც დამახასიათებელია დღევანდელი სამინისტროსი. „მე წინააღმდეგი ვარ, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეთ დამშვიდების პოლიტიკას. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შემდეგში ეს მშვიდობიანობა ჩამოვარდება, მაგრამ, ჯერ კი არა, რადგან ეს ეს არის გამოვედით პოლიტიკურ გამოურკვევლობიდან. ჩვენი პარტია ნიშანში იყო ამოღებული და უშვერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მას. ყველას ახსოვს, რომ თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი მასხარად გაჰხადეს. ჩვენ მოწმენი ვართ აგრეთვე იმისი, როგორ ცდილობდნენ ჯარის აჯანყებას, და აი დღეს, როდესაც ყოველივე ცდა, რომ ჩვენ ძირს დავეცეთ, ამაო გამოდგა, ახლა შემოგვძახიან: „დამშვიდება, შერიგებაო“! ამ გრძნობებზე ლაპარაკი დიახ მოხერხებულია დღეს, როცა ბრძოლიდან გამარჯვებულები გამოვედით. სწორედ ისინი, ვინც ცდილობდა ჩვენ დაჩაგვრას, ვინც არ ერიდებოდა ქვეყნის აღელვებას და მოქალაქეთა შორის სიძულვილის თესვას,—ახლა თხოულობენ ჩვენგან, რომ უარვჰყოთ ჩვენი ბრძოლის პროგრამა, დავმარხოთ რეფორმები და ის რესპუბლიკანური შრომა, ე. ი. თვით ჩვენი გამარჯვების მიზეზნი. არა, საფრანგეთს იმ პოლიტიკისთვის არ მიუცია თავისი ხმა, რომელსაც ჩვენი მოპირდაპირენი თხოულობენ; რესპუბლიკამ მოიწონა შეერთებულ რესპუბლიკელთა პოლიტიკა. ჩვენ თვალწინ საყურადღებო სანახავია: იმ ქვეყანაში, რომელმაც 89 წ. რევოლიუცია მოახდინა და ხალხებს მიანიჭა თავისუფლებანი, რომელთ სიდიადე მჭიდროდ დაკავშირებულია რევოლიუციასთან, ჩვენ იძულებულნი ვართ თვით ამ რევოლიუციის დამცველებად გამოვიდეთ. როგორიც უნდა იყვნენ დაუმთავრებელი და პირმოთნე ფრაზები, რომელსაც ეფარებიან ჩვენი მოპირდაპირენი, ჩვენ ჩამოვაგლეჯთ ნიღაბს და დავიცავთ კლერიკალურ პარტიისგან 1889 წლის მემკვიდრეობას. რეაქციონურ კავშირს, რომელიც შესდგება რესპუბლიკის ყოველგვარ მტრებისგან, ჩვენ წინ დავუყენებთ რესპუბლიკელთა კავშირს, რომელსაც შეადგენენ ყველანი, ვისაც კი სურს ადამიანის გონების განთავისუფლება, ვისაც აქვს იგივე იდეალები სამართლიანობისა ძმობისა. ეს რესპუბლიკელთა კავშირი შესდგება როგორც უზომიერეს-რესპუბლიკელთაგან ისე უკიდურეს პარტიებისგან და ამაოდ ეცდებიან ჩვენ პარტიაში განხეთქილების შემოტანას. ჩვენ მუდამ ერთგულნი დავრჩებით ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებათა და ბნელ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც ცდილობენ საფრანგეთის გენიის დამახინჯებას“. პელტანი არას ამბობს სამინისტრო საზოგადო პროგრამაზე, ჩემთვის ეს არ მოუნდვიათო, მაგრამ არწმუნებს კი, რომ მთავრობა განახორციელებს რეფორმებს, რომლებითაც უნდა ისარგებლოს რესპუბლიკის შემქმნელმა დემოკრატიამო. „რესპუბლიკა დიდებულმა კაცებმა კი არ შეჰქმნეს, რომელთაც ძეგლებს უდგამენ, არამედ იმ მილიონმა მშრომლებმა, რომელნიც მიკარგულნი იყვნენ ქალაქებსა და სოფლებში; მათ არც თანამდებობის შოვნის იმედი ჰქონდათ, არც სახელის, არც ჯილდოსი; ისინი იბრძოდნენ და ზოგჯერ სიცოცხლეს და თავისუფლებას სწირავდნენ, რომ შვილებისთვის დაეტოვებინათ სამკვიდრებლად ცოტა მეტი სამართლიანობა და კეთილდღეობა. რესპუბლიკა მოგვცა დემოკრატიის უმრავლესობამ და ჩვენც მისთვის უნდა ვმართავდეთ ქვეყანას“. პელტანი კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ მდგომარეობას: „ის ბრძოლა, რომელიც ჩვენ უნდა გადავიხადოთ, ძველი ბრძოლაა კლერიკალიზმთან, რომელიც ყოველთვის ცდილობდა თავი მოეყარა თავის დროშის ქვეშ ყველასთვის, ვისაც კი სძულს რესპუბლიკა. განა კლერიკალიზმი მუდამ იმას არა სცდილობდა, რომ ხელში ჩაეგდო სახელმწიფოს მართვა? ჩვენ გზა უნდა შევუკრათ მას, რადგან კარგად ვიცით, რაც გამოსცადეს ჩვენმა მამებმა. კლერიკალებისგან თქვენ თავის დღეში ვერ გაიგებთ იმის ასრულებას, რაც ნამდვილად არიან. სამი წლის წინად პატრიოტების სამოსელით იმოსებოდნენ და ვინც მათი მომხრე არ იყო, იმას მაშინვე ჯარის და სამშობლოს მტრად გამოაცხადებდნენ. ახლა სამოსელი გამოიცვალეს და მას შემდეგ, რაც მე მინისტრადა ვარ, გასაოცარ მასკარადსა ვხედავ: იმავე ფრანგის ქალებმა, რომელნიც მითი კმაყოფილდებოდნენ, რომ ფულს აგროვებდნენ საყოველთაო კენჭის უფლების წინააღმდეგ საბრძოლველად,—ტყუილად კი, რადგან საფრანგეთი არ იყიდება,—გადასწყვიტეს თავისი სისხლის დაღვრა თავისუფლებისათვის თანხმობის მოედანზე და თან მარსელიეზას მღერიან. ამ დღეს ჩვენ შესახებ ჰყვიროდნენ: „ეს ბატონები ულირსნი არიან რესპუბლიკისა“ ო. არა, მთავრობა არ წავა კანოსსაში. ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ჩვენმა მამებმა ქვეყანა მისტიციზმს ხელიდან წაართვეს. ჩვენ განვაგრძობთ ამ ბრძოლას და რაც უნდა დიდი განგაში ასტეხონ, ეს ვერ განდევნის საფრანგეთის ხალხის გენიას, რომელიც ჩვენ თავს დაგვტრიალებს“.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. იოჰანნესბურგში თურმე არსდება პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს მთელ ტრანსვაალს, სადაც ინგლისს ჯერ-ჯერობით წარმომადგენლობითი დაწესებულებანი არ შემოუღია. ამ ასსოციაციამ უნდა განიხილოს ყველა კითხვა, რომელსაც კი ადგილობრივი საზოგადო მნიშვნელობა ექმნება, და მერე თავისი დასკვნა წარუდგინოს მთავრობას. მართალია, საზოგადოებას მხოლოდ რჩევის უფლება ექმნება, მაგრამ, რადგან კოლონია სრულებით მოუწყობელია და მხოლოდ ახლა ცდილობს ინგლისი წესის დამყარებას, ამიტომ მას შეუძლია ძვირფასი ცნობა მიაწოდოს მთავრობას და თავიდან ააცილოს შეცდომა, რომლის გასწორება შემდეგში შეიძლება ძნელი შეიქმნას. ავტორიტეტი ამ ასსოციაციისა ადგილობრივ კითხვების შესახებ თავის თავად ცხადია, რადგან მას კარგად ეცოდინება ადგილობრივი საჭიროებანი.

არსდება აგრეთვე მუშათა პარტია, რომლის პროგრამმა მეტად ვრცელია და შეიცავს ბევრ სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმებს. მაგ.: ყველა ევროპიელს 18 წლის შემდეგ უნდა მიენიჭოს ამომრჩეველის უფლება. თანასწორი საარჩევნო უბნების დაწესება, ევროპიელთა რიცხვის დაგვარად კენჭის მიცემის საიდუმლოება. ორივე პალატის წევრებს უნდა დაენიშნოთ ჯამაგირი. ზედა პალატის წევრებიც უნდა ირჩეოდნენ და არა ინიშნებოდნენ. ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში 8 საათიანი სამუშაო დღე. უნდა შემოღებულ იქმნას ინგლისის საფაბრიკო კანონმდებლობა. უკეთესი ვენტილაცია მადნებში, ჰიგიენური საცხოვრებელი მუშებისთვის. რკინის გზების, ფოსტის, ტელეგრაფ-ტელეფონის, ტრამვაის, წყალის და განათების ნაციონალიზაცია. სამხრეთ აფრიკის ფედერაცია (ევროპიელ მცხოვრებთა პლებისციტის შემდეგ). მაგარი სასმელების ვაჭრობის ნაციონალიზაცია. უფასო საზოგადო და სახალხო განათლება. სავალდებულო სამედიატორო სამართალი პატრონთა და მუშების უთანხმოების გადასაწყვეტად. სამუშაო ფასის მინიმუმის დაწესება. სამეურნეო კანონები იმგვარი, როგორც ახალ ზელანდიაშია. მიწის შემოსა-

ვალზე (რენტაზე) დიდი ხარჯის დაწესება. შემოსავალზე პროგრესიული გადასახადის შემოღება და სხ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ დღეს ქართულ თეატრში, საღამოს 8½ საათზე წარმოდგენაა დანიშნული **ცხინვალში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.** ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რა უბედურება ეწვია ცხინვალელებს: სამას კომლზედ მეტი უბინაოდ და უმწეოდ დარჩა. თუ არა გულ-შემატკივართაგან დახმარება, დაზარალებულთა მდგომარეობა მეტის-მეტ განსაცდელში ჩავარდება.

ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დღეს ქართული თეატრის დარბაზი აივსება და ჩვენი ქალაქის გულ-შემატკივარნი არ დაჰზოგავს თავისი წვლილი დღევანდელს საქველმოქმედო საქმეს შეჰმატოს.

როგორც პროგრამიდანა სჩანს, დღევანდელი წარმოდგენა ინტერესს მოკლებული არ არის. მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესო ის არის, რომ 12 წლის ყმაწვილი პეტია მერენბლიუმი სკრიპკაზე მენდელსონის კონცერტს აასრულებს. ეს ის მერენბლიუმია, რომელმაც ამას წინედ „საარტისტო საზოგადოების" დარბაზში კონცერტი გაჰმართა და მთელი დამსწრე საზოგადოება ერთიანად აღტაცებაში მოიყვანა პატარა მერენბლიუმი, იმედია, ამაღამდელ კონცერტშიაც ნაკლებ სიამოვნებას არ მიუძღვნის საზოგადოებას.

◆ როგორც ვუწყით, ტფილისშიაც სდგება განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ტფილისის გუბერნიის **სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი.** კომიტეტის განკარგულებით, თვითოეულ დარგის გამოსაკვლევად და ვრცელის მოხსენების წარსადგენად კომიტეტში შესდგება კერძო წრეები. მიწვეული იქმნებიან ისინი, ვისაც სპეციალური ცოდნა აქვს ან რამე სამსახური მიუძღვის ამა თუ იმ დარგის წარმატების საქმეში.

◆ გუშინ-წინ, 29 ივლისს, **ტფილისში ჩამოვიდნენ** ქუთაისის გუბერნიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელნი, რიცხვით 80 კაცამდე. მასწავლებელნი ჯერ ბათუმში ყოფილან, დაუთვალიერებიათ ქალაქი, შემდეგ ჩაქვაში წასულან, სადაც ჩაის პლანტაციები უნახავთ. ჩაქვიდან ტფილისისაკენ წამოსულან და გზად მცხეთაში შეუხვევიათ, სადაც დაუთვალიერებიათ მცხეთის ტაძარი. გუშინ, 30 ივლისს, ექსკურსანტებმა ტფილისში დაათვალიერეს: საარეშუმო სადგური კავკასიისა, საეკლესიო და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუზეუმები და ქართული თეატრი. ნაშუადღევს ექსკურსანტები საქართველოს ექსარხოსთან იყვნენ. დღეს ექსკურსანტები დაათვალიერებენ საბოტანიკო ბაღს, საუფლისწულო მამულის სარდაფს და სახაზინო და საარტისტო საზოგადოების თეატრებს. აქედან მასწავლებელნი ქართლში აპირებენ გამგზავრებას.

◆ დღეს, 31 ივლისს, კოჯორიდან ტფილისში ჩამოვიდა მთხოვნელთა მისაღებად მთავარ-მართებლის მოადგილე გენ.-ლეიტენ. **ა. ა. ფრეზე.**

◆ როგორც გვატყობინებენ, მიწათ-მოქმედების მიერ გამოგზავნილ მოხელეს ამ დღეებში დაუთვალიერებია ყარაიაზში **რუსეთიდან გადმოსახლებულთა სოფელი.** სოფლელთ უკმაყოფილება გამოუცხადებიათ თავიანთ ადგილ-მამულზედ და უთხოვნიათ, სხვაგან გადაგვასახლეთო.

◆ 4 აგვისტოსთვის დურგალთა ამხანაგობის „შრომის" სადგომში დანიშნულია ამ ამხანაგობის **წევრთა საზოგადო კრება.** სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს ამა მიმდინარე წლის პირველ ნახევრის მოქმედების ანგარიში. მოხდება აგრეთვე გამგეობის ერთის წევრის არჩევანი.

◆ წელს მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელის ხელმძღვანელობით შეუდგებიან ყარსის ოლქში იმ ადგილების გამოკვლევასა და დამიჯვნას, სადაც **რუსეთიდან გადმოსულთა დასახლებას ჰფიქრობენ.**

◆ **ბათუმის ქალაქის გამგეობამ** სთხოვა ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას შეატყობინოს, რა ეხარჯება პოლიციის შესანახავად, რა მონაწილეობას იღებს ამ ხარჯში ხაზინა, რამდენი პოლიციის მოხელე ჰყავს ქალაქის გამგეობას თავის ხარჯით და რამდენი მცხოვრებია ამ ჟამად ქალაქ ტფილისში.

◆ დედათა განათლების დამხმარებელი საზოგადოება პეტერბურგში **ააარსებს** წელს ქალთა სასწავლებელს. ამ სასწავლებელში ასწავლიან უცხოე ფირმებთან მიწერ-მოწერის საქმეს და ბუხჰალტერიას. სწავლის ფასი წელიწადში 50 მანეთი იქმნება. გამგეობამ სთხოვა სხვა-და-სხვა დაწესებულებს აუწყონ საზოგადოებას სასწავლებლის დაარსების ამბავი.

◆ ინჟინერმა ჩერსკიმ დაასრულა ქ. **ტფილისის გეგმის** შედგენა და ამ ცოტა ხანში ეს გეგმა დაიბეჭდება კიდეც. გეგმაში ქალაქის ყველა ადგილია აღნიშნული.

◆ უმაღლესმა მთავრობამ, კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, **ყოველ წლიური სუბსიდია დაუნიშნა ამ საზოგადოებას.** წელიწადში მიეცემა 12 ათასი მანეთი. ეს ფული მოხმარდება საზოგადოების სკოლებსა და მასწავლებელთა ყოფა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

◆ სწავლა და პრაქტიკული მეცადინეობა ტფილისის **მიწის მზომელთა სასწავლებელში** 28 ივლისს დასრულდა. წელს ამ სასწავლებელში 16 კაცმა გაათავა სწავლა, აქედან ქართველი ერთია—პეტრე ქებაძე.

◆ **ხონის დედათა სასწავლებელში** წელს პირველად დაამთავრეს ქალებმა სწავლა სულ 8 ქალს გაუთავებია სწავლა. აი მათი გვარები: დ. ბახტაძე, ნ. ბახტაძე, ე. ჯაში, ლ. თავართქილაძე, მ. მიქელაძე, ა. ჩხენკელი, ლ. წივწივაძე და ლ. კიკალიშვილი.

◆ ამ დღეებში ტფილისის **ლომბარდის გამგე** შეეხითხა ქალაქის გამგეობას, როგორ მოიქცე სხვა-და-სხვა იარაღის დაგირავების დროს, თუ ტფილისის გუბერნატორის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი იარაღის ტარებისა და ვაჭრობის შესახებ ლომბარდზედაც იქმნა გავრცელებულიო. გამგე სთხოვს, თუ ვინიცობაა დადგენილებანი ლომბარდისათვისაც სავალდებულო იქმნება, შუამდგომლობა აღძრას, რომ დადგენილება არ შეეხოს იმ იარაღს, რომელიც 10 აგვისტომდე აღმოჩნდება დაგირავებული.

◆ ქალაქში ხორცი და პური იმავე ნიხრით იყიდება, რა ნიხრითაც გაზაფხულზე იყიდებოდა, როდესაც ორივე ძვირი იყო. ამის გამო ლაპარაკია აღძრული **ნიხრის დადების** შესახებ.

◆ ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** მზრუნველი სწერს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, აპრილის განმავლობაში იმ ადგილას, სადაც კართოფილი ეთესა სკოლას, ყაზახები იდგნენ თავიანთ ცხენებით, რის გამოც 100 ფუთზე მეტი კარტოფილი დაჰკარგაო. მზრუნველი სთხოვს საბჭოს შუამდგომლობა აღძრას, რომ სკოლას ფული მიეცეს ზარალში.

◆ **სიღნაღის მაზრის** [illegible] დანიშნული იქმნა ნაფიცი ვექილი სტანისლავსკი.

◆ დღეს, 31 ივლისს, სამხედრო ოლქის სასამართლო **განიხილავს საქმეს აფიცრის თავ. ი. წერეთლისას,** რომელსაც თავისს უფროსის შეურაცხყოფა ჰბრალდება.

◆ 29 ივლისს მთაწმინდის ქუჩის მოსახვევში მცხოვრებ ბელიბონის სადგომში შეპარულა ქურდი, რომელსაც მოუპარავს ქალის ოქროს საათი, ორი ქისა და სხვა ნივთები სულ 66 მან. 50 კაპ. ქურდობაში ეჭვი ბელიბონს განუცხადებია თავის მსახურ გორის მაზრის მცხოვრებ შაქრო დრაშვილზე. დრაშვილი დააპატიმრეს.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „23 მკათათვეს 1902 წ. თიანეთში კნ. აბაშიძე-ყარალაშვილისამ გამართა წარმოდგენა სცენის მოყვარეებთან ერთად, ქართულ ენაზე „დატრიალდა ჯარა", რუსულზე „რაკვერი დებიუტი". ორივე პიესამ კარგად და წყობრად ჩაიარა; ხალხი დიდი ნასიამოვნები დარჩა.

სრული შემოსავალი იყო 107 მანეთი 25 კ., დაიხარჯა მუსიკასა და სხვა წვრილმანში 33 მანეთი 60 კაპ., წმინდა შემოსავალი დარჩა 73 მან. 65 კაპ.

ეს წმინდა შემოსავალი 73 მ. 65 კ. კნ. ყარალაშვილისამ სრულიად შესწირა №№ სტუდენტსა, ძმათა დიასამიძეებისა (დიმიტრი და ლევანი) და მარიამ ლემურიას თხოვნისამებრ, რის გამოც დიდ მადლობას სწირავენ აღნიშნულნი პირნი კ-ნ. აბაშიძე-ყარალაშვილისას".

◆ ტფილისის ლომბარდის გამგეს განზრახვა აქვს შესწყვიტოს ლომბარდში სხვა-და-სხვა იარაღის მიღება დასაგირავებლად, რადგანაც ტფ. გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით საჯარო ვაჭრობაზე იარაღი აღარ გაიყიდებაო.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში 27 ივლისს, პოლიციის მოხელეებმა დააპატიმრეს ტფილისის მოქალაქე ლავრენტი ომიაძე და სიღნაღის მაზრის მცხოვრები შაქრო ჩაზილეშვილი, რომელთაც რკინის გზის სადგურთან ნივთების მოპარვა ჰბრალდებათ.

◆ ტფილისის ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში ამ ჟამად 50 კაცია. თავშესაფარში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

◆ ტფილისის ქალაქის თავის მოადგილემ სთხოვა სასანიტარო ინსპექტორს დაავალოს საბჭოს მკურნალებს ყურადღება მიაქციონ, რომ საკონდიტეროებსა და ბულკის საცხობებში კარგი სანოვაგე მოამზადონ ხოლმე.

◆ 28 ივლისს სლივიცკის სახლებში ექიმ გოკიელოვთან მცხოვრებ ალექსანდრე ზატემნისკთან

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲨᲐᲕᲘ-ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

(მრეწველთა საყურადღებოდ)

ამ სათაურით დაიბეჭდა „ივერია"-ში წერილი სიმონ ქვარიანისა. ეს წერილი დაწერილი იყო იმ განზრახვით, რომ ავტორს წაეკითხა სადმე შავის-ქვის მრეწველთა წინაშე. ავტორი კარგა ხანს სტკბებოდა თითონ თვისის სურათით: გრძელს რედინგოტს ჩაიცვამს, ცხვირს პენსნეთი დაიმშვენებს, მარცხენა ხელს შალვრის ჯიბეში ჩაიდებს, მარჯვენა ხელში დაიჭერს დახვეულს ქაღალდს დასამტკიცებლად იმისა, რომ რასაც ვიტყვი, ყველაფრის საბუთი აქ მიწერიაო. გაშლის მარჯვენა ხელს და ამბობს: „კმარა, ბატონებო... ამიერიდან მეტი გაჩუმება აღარ შემიძლიან: გაივსო ხალხის მოთმინების ფიალა... იძულებული ვარ ვილაპარაკო, ვინაიდგან ლაპარაკი არის ჩემი ზნეობრივი მოვალეობა... გაჩუმება და ხელ დაკრეფილი ცქერა არ შემიძლიან—კმარა, ბატონებო, ამდენი უნაყოფო დაპირება და იმედები! კმარა ამდენი მისტიფიკაცია! გვეყო ამდენი სეკრეტები. დრო არის, რომ გადავშალოთ კარტა, ავიხსნათ ნიღაბი და ნამდვილი სახით ვეჩვენოთ ერთმანერთს. ამიერიდან უნდა ავიხსნა ენა, ხელები, ფეხები და ვიმოქმედო".

ამ გრძნობიერმა სიტყვებმა ისე ააღელვა ბ-ნი ქვარიანი, რომ „ვაშა"-ს ხმაც კი მოესმა, თუმცა ოთახში არავინ იყო თვით ქვარიანის გარდა და მარტო თავის სახეს ხედავდა სარკეში.

აბა ეხლა ვნახოთ, ვინ აჯობებს, მე, თუ თქვენ ყველანი. ჩაბრძანდა ბ-ნი ქვარიანი მატარებელში და გამოსწია ჭიათურისაკენ. გზაში იმეორებდა: „დიახ, ბატონებო, გაივსო ფიალა... მეტი გაჩუმება არ შემიძლიან".

აი ჭიათურაც. მაგრამ ხალხი სად არის? სად არიან მრეწველნი? ჰო, უთუოდ დარბაზში არიან შეკრებილნი, იფიქრა ორატორმა და გასწია დარბაზისაკენ, სადაც დაბარებული ჰყავდა შავი-ქვის მრეწველნი, მაგრამ, დახე ბედის სიმუხთლეს, კარი დაკეტილი დაუხვდა. სად არიან შავი-ქვის სინდიკატის წევრები?—„გაკრულან ხელ ფეხით, ეფლობიან ვალებში და იღუპებიან". „ჩვენ არ გვსურდა ავსულიყავით ჭიათურაში და აგვეღელვებია მრეწველნი, რომ მით არ ვნებოდა საქმეს". „ეხლა მოვისურვეთ, ავედით ჭიათურაში და კარი გამოგვიკეტეს. ამიერიდან მეტი გაჩუმება აღარ შეგვიძლიან".

მაშ ბ-ნი ქვარიანი რის ორატორი იქნებოდა, პუბლიცისტიც რომ არ იყოს. თავისს რეჩს ათიოდე ადგილას კიდევ ჩაუმატა „**მეტი გაჩუმება არ შემიძლიანო**". გაუსვა ამ სიტყვებს ხაზი, რომ მსხვილი ასოებით ამოაწყონო და გაჰგზავნა წერილი „ივერიის" რედაქციაში.

უკაცრავად ვარ „ივერიის" რედაქციისთან, მაგრამ მართალი უნდა ვსთქვა, რომ მე გაცილებით უფრო კარგად ვიცი, როგორი წარმოება არის შავი-ქვისა მარიხის ვარსკვლავზედ, ვიდრე ამ რედაქციამ ჭიათურაში შავი-ქვის წარმოების ან ახალის სინდიკატის საქმისა. წაიკითხეს წერილი, ჰნახეს, რომ ბ ნი ქვარიანი თავის თავს მრავლობ-თის რიცხვით იხსენიებს, იფიქრეს, ბ-ნ ქვარიანს თანამოაზრენიცა ჰყვანანო, ისინიც დასწერენ წერილებს, მერე ამას მოჰყვება პასუხიო, პასუხს პასუხის პასუხიო. ჩვენ დავბეჭდავთ, მკითხველი წაიკითხავს და სოფელი აშენდებაო. მიაწერეს წერილს: „ვბეჭდავთ შეუცვლელად უკლებლად, რათა ბ-ნს ქვარიანს და მისს თანამოაზრეებს მიეცეს ღონის ძიება გამოსთქვან თავიანთი აზრი. იმედი გვაქვს, რომ ვისაც ეს წერილი შეეხება, არ დააყოვნებს პასუხს და გამოაცხადებს საქმის ნამდვილს მდგომარეობას".

ვის შეეხება ბ-ნ სიმონ ქვარიანის წერილი? მთელს წერილში არის დასახელებული ერთად ერთი გვარი ბ-ნ ზდანოვიჩისა, რომელიც ბ-ნ ქვარიანის „წინადადებით (?) შეიქმნა ვექილი და შემდეგ დროებითი წარმომადგენელი შავი-ქვის საზოგადოებისა".

ბ-ნს ზდანოვიჩს ბ-ნი ქვარიანი სთხოვს საზოგადო კრების დანიშვნასა და გამგეობის არჩევას. რა უფლებით? ხალხს უნდაო. მერე ხალხმა რათ მიჰმართა ქვარიანს, რომელიც წევრიც კი არ არის შავი-ქვის საზოგადოებისა? ეს ალაჰმა უწყის. გამგეობის არჩევის დღე ხალხმა უნდა დანიშნოსო, ამბობს ბ-ნი ქვარიანი. ეს ტყუილია. ბ-ნი ქვარიანი ან განგებ ცრუობს, ან ამხანაგობის წესდება არ წაუკითხავს, ან წაკითხული ვერ გაუგია. აი რა სწერია წესდების მეთორმეტე მუხლში.

„Отъ взаимнаго соглашенія Г. Ф. Здановича и Совѣта уполномоченныхъ зависитъ опредѣленіе времени, когда должны быть произведены выборы предсѣдателя правленія".

ცრუობს ბ-ნი ქვარიანი. თუ წესდება არ წაუკითხავს, ან წაკითხული ვერ გაუგია, მე არ ვიცი. მაგრამ აი აქ კი ნამდვილად ცრუობს: „როგორც შეგნებული ადამიანი, ჩვენ ვფიქრობთ, ბ. ზდანოვიჩი აღარ გაჯიუტდება მეტს და აუსრულებს მრეწველთ მათ კანონიერ მოთხოვნილებას საზოგადო კრების მოხდენისა და გამგეობის არჩევის შესახებ". იმავე წესდებით იმავე მეთორმეტე მუხლის ძალით, რომელსაც ასახელებს ბ-ნი ქვარიანი, „Какъ обыкновенныя, такъ и чрезвычайныя собранія созываются по постановленію соединеннаго присутствія Совѣта и правленія общества. Независимо отъ сего, чрезвычайныя собранія могутъ быть созываемы правленіемъ въ случаяхъ, не терящихъ отлагательства, какъ по собственной инициативѣ, такъ и вслѣдствіе письменнаго о томъ заявленія не менѣе одной трети всѣхъ членовъ общества".

ეს „პისმენოე ზაიავლენიე" არის კიდეც დაწერილი, თუ ჯერ არა, ამას ქვარიანი არ ამბობს და იმავე დროს-კი გაიძახის: ზდანოვიჩი ჯიუტობს და კრებას არ უწოდებსო. ეჰ, ლოღიკავ, კარგი რამა ხარ, მაგრამ სადა ხარ?

იქნება ბ-ნ ქვარიანს ეს პისმენოე ზაიავლენიე აქვს დაწერილი და ხელიც უწერია ზედ, მაგრამ აკი მოგახსენეთ, რომ ქვარიანი ჯერ წევრი არ არის ამხანაგობისა, და ამიტომ ეს არა კმარა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვე აქვს ვადა, რათა თავისი ჯგუფი შეადგინოს და შევიდეს იმ ამხანაგობის წევრად, რომლის დაარსების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი მე ვარო, გაიძახის. მაშინ-კი სრული უფლება ექმნება პისმენოე ზაიავლენიე შეიტანოს თვის მიერ ხელ-მოწერილი, კრება დაინიშნება, ბ-ნ ქვარიანს უეჭველად აირჩევენ დირექტორ-მმართველად. მაშინ ბ-ნი ქვარიანი აიხსნის ენას, ხელ-ფეხს, მოჰკიდებს ხელს სინდიკატს, ამ „იალქნებ დაწყვეტილს გარიყულ გემს, რომელსაც დაჰხვევია ზღვის ფრინველნი", ჩაუშვებს ზღვაში და გასწევს ევროპა-ამერიკაში, რადგანაც იქ, ბ-ნ ქვარიანის სიტყვით, „დღეს გათავდა მწვავე კრიზისი, შესწყდა ბურ-ინგლისთა ომი, კვლავ დატრიალდა მსოფლიო მრეწველობის ჩარხი, გაიაფდა ფული, აიწია საგრძნობლად რკინა--ფოლადის ფასებმა. ეს ცვლილება დაეტყო შავ-ქვასაც"...

ამ ომსა და ჩარხსა გროშად არ იყიდის შეგნებული მრეწველი. აი დამტკიცებაც: ხვალ რომ შავი-ქვის ამხანაგობამ თვისი ოპერაციები შესწყვიტოს, აიწევს შავი-ქვის ფასი თუ დაეცემა. ჩარხმა და ომის შეწყვეტამ ხომ ფასი ასწია, მაშ ამხანაგობის შეჩერებამ უფრო უნდა ასწიოს, მაგრამ მართლა

შეპარულა ბოროტ-განმზრახველი, რომელსაც დაკეტილი ყუთი გაუტეხია, 179 მან. ამოუღია და შემდეგ ცეცხლი წაუკიდებია. ამ ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ გოკიელოვის მოსამსახურეზე ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებ ივანე ჩახრიანზე, რომელიც დაუპატიმრებიათ კიდეც. გაჩხრეკის დროს მოპარული ფული 179 მან. ჩახრიანს აღმოაჩნდა და ქურდობაშიაც გამოტყდა, მხოლოდ განაცხადა, რომ ყუთისათვის ცეცხლი არ მომიკიდებიაო.

◆ ამას წინად ტფილისის მცხოვრებმა, ქვრივმა ქურდიანიძემ სთხოვა ქალაქის გამგეობას მიეღოთ ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში იმისი 15 წლის შვილი. სასანიტარო სამკურნალო საბჭომ, რომელსაც განსახილველად გადაეცა განაცხადება, შეატყობინა გამგეობას, რომ ქურდიანის ბავშვს თავშესაფარში ვერ მივიღებთ, რადგანაც წესდებით, მიიღებიან მხოლოდ 17 წლისაზე ნაკლები ბავშვებიო.

◆ 29 ივლისს, საღამოს 8 საათზე, პუშკინის ქუჩაზე მეეტლე აკიმოვი დაეტაკა და გადაუარა ქუჩაში მიმავალ 68 წლის მოხუც-ქალს ოსანა თემოევისას. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, ხოლო აკიმოვი პასუხის გებაში მისცეს.

◆ ტფილისის ქალაქის დედათა გადამდებ სენით საავადმყოფოში ამ ჟამად 35 ავადმყოფი ქალია. თავისუფალი ადგილი 26-ია.

◆ 29 ივლისს კახეთის ქუჩაზე, ტერეგულოვის სახლში, უეცრად გარდაიცვალა მე-2 გილდის ვაჭარი იაგორ ტერ-სიმონოვი. გარდაცვალების მიზეზი არ იციან.

◆ ტფილისის ქალაქის გადამდებ სენით სამკურნალოებში 22-დან 30 ივლისამდე სულ 4 ავადმყოფი ყოფილა, ოთხივე ყელჭირვებით. ორი მორჩენილა. სამკურნალოებში 26 თავისუფალი ადგილია.

◆ გუშინ, 30 ივლისს, გარდაიცვალა ტფილისის ქალაქის გამგეობის უფროსს ბუხჰალტერად ნამყოფი ნაზაროვი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მართველობის ახალი წევრი ვასილ ნიკოლოზის ძე აბულაძე ჩამოვიდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა კიდეც.

◆ შორაპნის მაზრის უფროსად, როგორც აქ ხმა დადის, ჰნიშნავენ ქუთაისის მაზრის უფროსის უფროს თანაშემწეს ბ-ნ შოტ-ჰაუერს.

◆ ოდესის პროფესორს ვ. მ. პეტრიაშვილს ამ დღეებში ქუთაისს მოელიან. ოდესის უნივერსიტეტში კურს დამთავრებულთ და ეხლანდელს მოსწავლეთ განზრახვა აქვთ პატივსაცემი სადილი გაუმართონ თავისს საყვარელ პროფესორს.

◆ დიდ სცოდავობაშია ეგრედ წოდებული „ადვოკატის ქუჩა“. ყოველ დღე, განსაკუთრებით პარასკეობითა და კვირაობით მახლობელი მოედანი და „ადვოკატის ქუჩა“ ისე იჭედება ხალხით, რომ ფეხით გავლა უჭირს კაცს; ცხენით ან ეტლით გავლა ხომ შეუძლებელია. თუმცა ქუჩა გვარიანადაა გაკეთებული, მაგრამ სიბინძურე გამოუდეგველია. შუა ქუჩაში ხომ აღარ ეტევა ურმები, ტროტუარებზე დგება, ასე რომ დამე ტროტუარებზე გავლა საფრთხილოა. ამას გარდა ქუჩის ნაპირებზე გადმომდგარ სახლების ქვემო სართულში ერთ ფანჯარას ვერა ჰნახავთ მთელს, თუმცა რკინის ბადეები აქვს ყველას გაკეთებული. გრძელი ხეებით დატვირთული ურმების მიბრუნმობრუნების დროს ხეების ბოლოები დაეტაკება ხოლმე ფანჯრებს და ამსხვრევს. რადგანაც წყლის ბოჭკები თავისუფლად ვერ უდგება ეზოებს, წყალს კოკებით ეზიდებიან, თითო კოკა $1^1/_2$—2 კაპეიკად იყიდება, ასე რომ ბოჭკა აქაურებს 20 კაპ. უჯდებათ, თუმცა სხვაგან ორი შაურია. ყველა ამის გამო სახლების ქირა, სხვა ქუჩებთან შედარებით, იქ ძლიერ დაწეულია. ერთი სიტყვით, „ადვოკატის ქუჩა“, რომელიც უფრო ბინძურ მოედანს წარმოადგენს, ქალაქს უფრო ემსახურება, ვიდრე ამ ქუჩის მცხოვრებთ. ამიტომ სამართლიანად მოიქცევა ქალაქი, თუ თავისის ხარჯით შეაკეთებს და გაასუფთავებს. მაგრამ ქალაქი არა კისრულობს ამას. მხოლოდ კვირაში ორჯელ—პარასკევსა და კვირას—მოედანთან ერთად ამ ქუჩასაც აგვავნებს; მეტს ყურადღებას არ აქცევს.

ამას წინათ ამ ქუჩის მცხოვრებთ სთხოვეს ქალაქის საბჭოს, ან განეთავისუფლებიათ ისინი იმ გადასახადისაგან, რომელიც დააკისრა მათ ქალაქმა ქუჩის გაკეთებისათვის, ან მოედანი სადმე სხვაგან გადაეტანათ. საბჭომაც, სამართლიანად, შეიწყნარა მათი თხოვნა, მაგრამ საბჭოს გარდაწყვეტილება ბ-ნმა გუბერნატორმა არ დაამტკიცა. ამგვარად ის ვალი, რომლისგანაც მცხოვრებლებს თავი განთავისუფლებულად მიაჩნდათ, ისევ გადასახადი შეიქმნა. ეხლა მცხოვრებნი იმასა სთხოვენ ქალაქს, თქვენის ხარჯით ურმების მიერ გაფუჭებული ტროტუარები მაინც აკეთებინეთ და ქუჩა სუფთად შეინახეთო. არ ვიცით, ქალაქი რა პასუხს მისცემს.

◆ სოფლებიდან შემოსულ ოთხ-ფეხს აქამომდე სულ კათოლიკეთა მოედანზე მიერეკებოდნენ გასასყიდად. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, ამას იქით საქონელი ქალაქის მეორე მოედანზე მიჰრეკონ; ეს მოედანი რიონის მეორე მხარესაა, ეგრედ წოდებულ „სიღაზე“.

ეს განკარგულება პოლიციის ეცნობა და პოლიციაც მტკიცედ ასრულებს გამგეობის სათხოვარს, მაგრამ ერთი უხერხული მდგომარეობა სოფლელისა გვინდა აღვნიშნოთ. სოფლელებმა არ იციან, თუ სხვა მოედანზე უნდა მირეკონ ოთხ-ფეხი და წინანდებურად კათოლიკეთა მოედანზე მიერეკებიან. რადა აქ თავს მოიყრის სოფლელი ხალხი, მხოლოდ შემდეგ მიდის პოლიცია და აქედან მიერეკებიან მეორე მოედნისაკენ. მერე, როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისში ხიდის ბაჟია დანიშნული და რად უნდა იხადოს ხელმოკლე სოფლელმა მეტი გარდასახადი, როცა შეიძლებოდა ამის აცდენა. გამგეობა უნდა ცდილიყო საყოველთაოდ გამოეცხადებინა თავისი ახალი განკარგულება და პოლიციაც მოვალეა ჯერ კიდევ მაშინ შეაჩეროს და გააფრთხილოს სოფლელი, სანამ ის ჯერ ხიდზე არ გასულა.

რუსეთის ქრონიკა

◆ აზრადა აქვთ, 1903 წლის დეკემბერს პეტერბურგში სრულიად რუსეთის ჰომეოპატთა კრება მოახდინონ. კრება მრავალ საყურადღებო საგანს განიხილავს; სხვათა შორის, ჰფიქრობენ, სთხოვონ მთავრობას, რომ სამკურნალო ფაკულტეტებთან ჰომეოპატიის კათედრები დაარსდეს.

◆ სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტში 75 თავისუფალი ვაკანსიაა. თხოვნა კი 315 კაცს შეუტანია.

◆ პეტერბურგში არსდება ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს მოსწავლეთათვის ისეთივე პანსიონები დააარსოს, როგორიც ინგლისში არსებობს. ამხანაგობა ჰფიქრობს იყიდოს ან ააგოს დიდი სახლი იმ ადგილას, სადაც რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელია. ამ სახლში თითო ან ორ-ორი ოთახი გაიცემა ძალიან მცირე ფასად. სახლში გამართული იქნება სასადილო, ბილიარდი, აბანო, საპარიკმახერო, თეთრეულისა და ტანისამოსის მაღაზია, თამბაქოს მაღაზია და სხვა. ამხანაგობა შემოდგომასვე შეუდგება სახლის აგებას. წესდება ჯერ დამტკიცებული არ არის.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია გააუმჯობესოს სახალხო მატარებლის ვაგონები. ამას გარდა, ჰფიქრობენ, გამოსცენ დაწვრილებითი წესები მგზავრთათვის და საზოგადოდ უფრო მეტი წეს-რიგი დაამყარონ. კონდუქტორებს დაევალებათ მეტი ყურადღება მიაქციონ ადგილებს და ყველა მგზავრს მიუჩინონ ხოლმე დასაჯდომი ადგილი.

◆ ამას წინად გაზეთებში დაიბეჭდა შემაძრწუნებელი ამბავი, რომ ვლადიკავკავის რკინის გზის სადგურ ტიხორეცკაიაზე გამომძიებელმა დაატუსაღა ახალგაზდა გასათხოვარი ქალი, რადგანაც ქურდობა დასწამა, შემდეგ გაატიტვლა და ბოლოს კაზაკებს გადასცა, რომელთაც აგრეთვე ძალა იხმარეს ქალზედ და ბოლოს ქალმა თავი მოიკლაო. ახლა იუსტიციის სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას ჰბეჭდავს ამ ამბის გამო და ამტკიცებს ტყეილი და გაზვიადებული იყოო. ოფიციალურმა გამოძიებამ შემდეგი აღმოაჩინაო: ქალი როსკიპი ყოფილა, ვიდაც ზოლიუტოვა; მას მართლა მოუპარავს ერთის მგზავრისათვის ნივთები და გამომძიებელს, ბ. პუსეპს დაუპატიმრებია. ქალს ნაცნობებისთვის მიუწერია—თავდებად დამიდექითო და განმათავისუფლეთო, მაგრამ არავის არ აუსრულებია ეს თხოვნა; მაშინ გამომძიებელს განკარგულება მოუხდენია ეკატერინოდარში გაეგზავნათ ქალი ეტაპით; ამას ისეთი ცუდი გავლენა მოუხდენია ქალზე, რომ თავი მოუწამლავსო.

პრესსა

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო „ერთის მოძღვრის“ საყურადღებო წერილი „მამების გაჭირვება“; ავტორს ნათლად ჰქონდა დასურათებული ამერეთის სამღვდელოების გაჭირვებული მდგომარეობა მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში. როგორც სჩანს გუშინ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილიდან ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესახებ, იმერეთის სამღვდელოებასაც გასჩენია სხვა-და-სხვა გვარი დაბრკოლება შვილების სწავლების საქმეში. იქაური სემინარია, მაგალითად, ვერ იტევს სწავლის მიღების მრავალ მსურველთ; მაშინ იმერთ მოუწადინიათ ტფილისისაკენ წამოსვლა და აქაურს სემინარიაში შესვლა, მაგრამ ამაოდ: აქაური უთქვამთ მათ მიღებაზე.

იმერეთის სამღვდელოებამაო, სწერს ბ. ლეღვნარელი, უნდა იშუამდგომლოს, საცა ჯერ არს, რათა ტფილისის სემინარიაში დაუბრკოლებლად იღებდნენ ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოების შვილებს იმ დრომდე მაინც, სანამ ქუთაისის სასულიერო სემინარიას საკუთარი შესაფერი შენობა არა აქვს. ჩვენ ვერ მიმხვდარვართ, რა საფუძვლით ეუბნებიან ტფილისში იმერლებს: ღლიავას ნეტ ვაკანსიი-ო. განა იმერლები, მეგრელები და გურულები ქართველები არ არიან? საჭიროა ქართლ-კახეთის სამღვდელოებამაც მიაქციოს ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და იქონიოს მსჯელობა თავის ყრილობაზე ამის შესახებ.

⁂

არ იქნა და არაფერი ეშველა ჭიათურის რკინის გზით მარგანეცის გადაზიდვაზე ტარიფის შემცირების საქმეს! ბევრი თხოვნა

ასე მოხდება თუ არა? მე ვამტკიცებ, რომ არა. ფასი, პირიქით, დაიწევს. მაშ მწვავე კრიზისი გათავებულა თუ არა? ბ-ნმა ქვარიანმა ეს რა იცის, მისი ზნეობრივი მოვალეობა მხოლოდ ლაპარაკია...

როგორ ჰყიდიან სინდიკატს გარეშე დარჩენილნი მრეწველნი ქვას? ბ-ნი ქვარიანი ამბობს „კარგ ფასებშიო“. მაინც როგორ? რამდენ პენსად ან რამდენ კაპეიკად გაჰყიდეს ქვა? ეს ბ-მა ქვარიანმა არ იცის, ან რა საჭიროა ამის ცოდნა. „კარგ ფასშიო“, ბძანებს ბ-ნი ქვარიანი და ყველა მოვალეა ერწმუნოს. დღემდე ქვა გაუყიდავია—ბრძანებს ბ-ნი ქვარიანი—და ეს აღონებს და გულს უტეხს მთელს საზოგადოებასაო. ფასმა კი აიწიაო...

მაშ რასა სწუხს მრეწველი? რატო მაშინ არ გავყიდე ქვა, როცა უფრო იაფი იყოო. ან როდის იყო „მშვენიერი მომენტები“ ქვის გაყიდვისა, რატომ არ ბძანებს ბ-ნი ქვარიანი? მაგრამ რას იტყვის, რაც არ იცის. ეს მშვენიერი მომენტები რომ ეცნობებინა ბერლინის მანგან სინდიკატისათვის, დიდ მადლობას ეტყოდნენ და ქვაც გაიყიდებოდა.

იმედი გვაქვსო, სწერს „ივერიის“ რედაქცია, რომ ვისაც ეს წირილი შეეხება, არ დააყოვნებს პასუხს და გამოაცხადებს საქმის ვითარებას. მოდი და უპასუხეთ ბ-ნს ქვარიანს. „მშვენიერი მომენტები გაუშვესო“, ბრძანებს.

მე ვეუბნები არა ყოფილა, და ვკითხავ, როდის იყო ის მშვენიერი მომენტები? ალბად, მაშინ, როდესაც ბურ-ინგლისთა ომი შესწყდა და მსოფლიო მრეწველობის ჩარხი კვლავ ატრიალდა. ჩარხი ეხლაცა ტრიალობს, ომი არსად არის და შავ-ქვას-კი 9 პენსზე მეტად ვერავინა ჰყიდის.

გათავდა მწვავე კრიზისი, მაგრამ მაინც „კვნესის და გმინავს ერთმანეთზე თევზივით აცმული ბ-ნ ქვარიანის მიერ დაარსებული 18 ჯგუფი და მათ შორის იცინის და ხარობს ერთი.“ ეს ერთი ჯგუფი ჰყიდულობს ოხრის ფასად (ჩარხისა და ომის მოსპობის მიუხედავად) ოქროსავით ქვას, მას გაუხსნეს უსაზღვრო კრედიტი (ვინ გაუხსნა?) მას მოსდის გემები. ერთი სიტყვით, მისთვის დააარსეს სინდიკატი და საზოგადოება. რომელია ეს ჯგუფი? თუ „საიუზი“ აქვს სახეში ბ-ნ ქვარიანს, სიცრუეს რადა კადრულობს. ხომ კარგად იცის, რომ ამ ჯგუფმა ქვა ჯერ ისევ შარშან გაჰყიდა, სინდიკატის დაარსებამდე.

მაგრამ რას იზამთ. აუხსნია ენა ბ-ნ ქვარიანს და ლაპარაკობს, რადგანაც ეს მისი ზნეობრივი მოვალეობა არის. ისიც მისი მოვალეობაა, იკითხოს, რად გააუქმა ორიოდე გავლენიანმა პირმა მრეწველთა მიერ არჩეული საორგანიზაციო კომისია და ამ რიგად მოაშორა საქმეს რამდენიმე სასარგებლო ადამიანი (ვინა?)? ორიოდე პირმა კი არ გააუქმა საორგანიზაციო კომისია, ბ-ნო სიმონ, არამედ გააუქმა ამხანაგობის წევრთა რწმუნებულმა კრებამ, რომელმაც ამ კომისიის ნაცვლად აირჩია ხუთი კაცი. ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბ-ნო სიმონ, რადგანაც იმ კრებაზე თქვენცა ბრძანდებოდით, ვითარცა მდივანი და წევრი უწინდელი კომისიისა. მდივნად შემდეგაც დარჩით, მხოლოდ ახალ კომისიის წევრად არ იქმენით არჩეული. იქნება თქვენ თითონ არ ინებეთ ამ კომისიის წევრობა, რადგანაც ეს ასპარეზი თქვენთვის მეტად მცირეა...

ისიც ბ-ნ ქვარიანის მოვალეობაა სთქვას, რომ იმ თავითვე ყველას უნდოდა გამგეობის არჩევა, როდესაც მან კარგად იცის, რომ რწმუნებულთა კრებამ დაადგინა, ჯერ-ჯერობით გამგეობის არჩევა საჭირო არ არისო.

იცის ბ-ნმა ქვარიანმა კარგად, რომ ბიუროს მოსაწყობად შედგენილ იყო სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც ამ საქმეს დასჭირდებოდა 30,900 მანეთი წელიწადში, და მაინც ამტყუნებს ეხლანდელ გამგეობას, რატომ ბიუროს არ აარსებენო, და თანაც ამბობს, ეხლა რომ ფული იხარჯებაო, გამგეობას ეყოფაო.

იცის ბ-ნმა ქვარიანმა, რომ ეხლანდელნი წევრნი კომისიისა არჩეულნი არიან ამხანაგობის რწმუნებულთა მიერ, გამგეობის წარმომადგენელის თხოვნით, და მაინც ამბობს, თითონ გაბატონდნენო, ზეცით მოევლინენო სინდიკატსაო. იცის კარგად, რომ თითონ მიიღო ჯილდოდ ფული და ამბობს, რად მომეცით ეგ ფულიო. იცის კარგად, რომ სინდიკატისაგან გამგეობის წარმომადგენელს, კომისიის წევრებს და რწმუნებულთ შრომის ფასი არაფერი ეძლევათ, და მაინც ამბობს, „რჩევის და კომიტეტის ხარჯები და საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელის ჯილდო კიდევ სხვააო“. იცის კარგად, რომ ჭიათურაში დიდი სივიწროვეა, ნაკლებულობაა ბაქნებისა, რომ საერთო საწყობების შოვნა გასაჭირია, და მაინც ამბობს, ბაქნები ვერ მოუპოვეს ჯგუფებს, საერთო საწყობი გამართეს და ნათელ-მირონობის ჩარხი (ეს ჩარხები ძლიერ უყვარს ბ-ნ ქვარიანს) დაატრიალესო (ამის თქმას საბუთი არ უნდა?). იცის კარგად, რომ აქამდე მხოლოდ იმედი აქვს დაშლილ ჯგუფის „იმედის“ შედგენისა, და მაინც ამბობს „როცა ჩვენ 19 ჯგუფი დავაარსეთო, ჭიათურაში ვირბინეთო, ველაპარაკეთო, ხალხი ჩვენს სიტყვას ერწმუნაო“ და სხვა. იცის კარგად, რომ ოცი ქცევა შავი-ქვიანი ადგილი ოცი ათას-მანეთამდე მაინც ღირს და ამბობს, სულ ოციდე ქცევა ადგილი იყიდესო. იცის, რამდენი ფული დაურიგდა სესხად ამხანაგობის წევრებს და მაინც იძახის **ორიოდე** გროში იყოო.

აი, ამ გვარ წერილზე „ივერიის“ რედაქციას იმედი აქვს, პასუხს დასწერს ის, „ვისაც ეს შეეხება.“ არა. ისა სჯობიან, რომ ისევ ბ-ნ ქვარიანის თანამოაზრეებს მისცეს შემწეობა გამოსთქვან თავიანთი აზრი, თუმცა ვეჭვობ კი, რომ ბ-ნ ქვარიანს ჰყავდეს თანამოაზრე თავისი-თავის გარდა.

ერთხელაც დაემართა ბ-ნ ქვარიანს ასეთი საჯაყი საქმე შავი-ქვის მრეწველთა კრებაზე. „ხალხი კვნესისო, ბრძანებდა ბ-ნი ქვარიანი, ჰგმინავსო, ყველა უკმაყოფილოა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მოქმედებითაო, აივსო მოთმინების ფიალა და ყოველ გვარი ჯამ-ჭურჭელიო. კმარა, ბატონებო, ამდენი მოთმინება, კმარა. გამოვუცხადოთ კრების საბჭოს ამდენი უკმაყოფილებაო“. უყურა ბ-ნ ქვარიანს კრების თავმჯდომარემ და იფიქრა (როგორც ეხლა „ივერიის“ რედაქციამ), ეს კაცი ასე რიხით რომ ლაპარაკობს, უეჭველია, თანამოაზრენიც ეყოლებაო და სთხოვა კრებას, ვინც ბ-ნ ქვარიანის თანამოაზრე ბძანდებით, გთხოვთ ფეხზე წამოდგეთო. წამოდგა მთელი... სიმონ ქვარიანი და მეტი არავინ. ეს ამბავი უტყუარია და შავიქვის ყველა მწარმოებელმა იცის.

ერთი რამ ძლიერ არ არის მოსაწონი ბ-ნ ქვარიანის წერილში. სწერს: „დრო არის ავიხსნათ ნიღაბი და ნამდვილი სახით ვეჩვენოთ ერთმანერთს“-ო. ნიღაბის ტარება რა საკადრისია, ბატონო, თქვენ თავს რად იმცირებთ, ამით ხომ თქვენ თითონ ამტკიცებთ, რომ აქამდე ნიღაბს ატარებდით.

და ერთი რამ უნდა გთხოვოთ, ბ-ნო სიმონ ქვარიანო. რაკი რომ ენა და ხელები სამოქმედოდ აგიხსნიათ და გსურთ ემსახუროთ შავი-ქვის ამხანაგობას, მოიღეთ მოწყალება, ამოქმედეთ ეგ თქვენი ენა და ხელები, მაგრამ რეჩების სათქმელად და საპოლემიკოდ კი არა, დაგვეხმარეთ, თქვენ გაზდას, თქვენ ხომ იცით, როდის არის ხოლმე მშვენიერი მომენტები, გაგვაყიდვიეთ ქვა, ასე 15 პენსად, თუ გინდა 14 პენსად, ჯანდაბას, 10 პენსად იყოს.

რგანელი

შუამდგომლობა იქმნა აღძრული სადაც ჯერ არს, ბევრი დაიწერა გაზეთებშიაც, ბევრი სხვა გვარ მეცადინეობა დაიხარჯა, მაგრამ „Возъ и нынѣ тамъ“ და არც ვინ იცის, როდის დაიძრება ადგილიდან... „პეტერბ. ვედომ.“-ის კორესპონდენტი სასოწარკვეთილებით გაიძახის—ლამის ყველა მრეწველნი გაკოტრდნენ დიდის ტარიფის წყალობითაო!

უფულობაო, სწერს კორესპონდენტი, სამუდამო სენად გადაიქცა აქაურ მრეწველთათვისო; საზღვარ-გარედ ცოტა მადანს თხოულობენ, დიდი ტარიფი კი წინადებურად ახრჩობს მრეწველთაო.

ბევრიო, ვანაგრძობს გაზეთი, ტარიფადაც აღარ სთვლის ჭიათურის გზაზე მარგანეცის გადასაზიდავად დანიშნულს ტარიფსაო და უფრო გადასახადათ მიაჩნია, მარგანეცზე დადებულ ბაჟად. ასეთს აზრს საფუძველიც აქვს; აბა რითი უნდა ავხსნათ ნორმალურ ტარიფის შვიდჯერ გადიდება?! მაგრამ ეს გადასახადი იმდენად მძიმეა ადგილობრივ მრეწველთათვის, რომ თავად-აზნაურობა, რომელ წოდებასაც ბევრი მრეწველი ეკუთვნის, აპირებს უმაღლეს მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს ტარიფის დაკლების შესახებ. ეს დაკლება აუცილებლად საჭიროა, რადგან ამ მრეწველობის მდგომარეობისაგანაც დამოკიდებულია ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიური კეთილდღეობა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ივლისი

კიევი. მოსკოვ-კიევის რკინის გზის ლიანდაგის შესწორებას შეუდგნენ. ჰფიქრობენ, ახალ გზის გაყვანას ნავლ-შოსტკისა. მუშაობას შეუდგებიან მომავალ გაზაფხულზე; დაჯდება 15,000,000 მან. გზის შესწორება შეამოკლებს მოსკოვსა და კიევს შუა მანძილს 115 ვერსით.

რიაზანი. ნებართვა მოვიდა სატეხნიკო წრის დაარსებისა.

კავკავი. სადგურ „პროხლადნოი“-ში განზრახვა აქვთ, დააარსონ თერგის ჯარების ხარჯით სამიწათ-მოქმედო სკოლა 60 მოსწავლისათვის.

სექტემბერში კავკავის ოლქის სასამართლო გაარჩევს საქმეს სოფელ გიზელის მცხოვრებთა, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ იარაღით ხელში წინააღმდეგობა გაუწიეს ადმინისტრაციას.—ყინულების მოძრაობამ წაახდინა გზა სოფელ სამებიდან გენალდონის ხეობაში. მცხოვრებნი ყველა მხრით მომწყვდეულნი არიან. ოლქის უფროსი იუწყება, რომ დიდი განსაცდელი მოელის სოფ. ქვემო ტმენიკაუს და ზემო კონის; ელიან მალიის ყინულის ჩამოწოლასაც.

სიმბირსკი. „გუბ. ვედომოსტი“ იუწყება, ალატირის საბჭომ, ქალაქის დაარსებიდან 350 წლის შესრულების აღსანიშნავად, დაადგინა დააარსოს სახალხო სახლი წიგნთსაცავით, საკვირაო სახელოსნო სკოლით, საჩაიეთი და სასადილოთი; აგრეთვე ააგოს სამლოცველო, რომელშიაც უნდა დაასვენონ იოანნე წინამორბედის ხატის პირი, რომელიც იოანნე მრისხანესგან არის შეწირული. დღესასწაულები სამ დღეს გასტანს.

ლონდონი. მეფემ ძალიან კარგად გადიტანა გვირგვინის კურთხევა და ღამეც მშვენივრად გაატარა. საზოგადოდ მეფე ყოველის მხრით კარგად არის. ბიულეტენი აღარ გამოვა.

სვინემიუნდე. „ჰოჰენცოლერნი“ და სხვა გემები დილის ცხრა საათზე მოვიდნენ.

ლონდონი. მეფე და დედოფალი დღეს წირვას დაესწრნენ სენ-ჯემის სასახლის ეკკლესიაში. გზაზე ხალხი დიდის აღტაცებით ეგებებოდა.

სახალინი. ბარონ ბუქსგევდენის თაოსნობითა და სამხედრო გუბერნატორის ლიაპუნოვის მეუღლის მეცადინეობით, დააარსეს და აკურთხეს დაპატიმრებულთა შვილებისთვის თავშესაფარი.

თემირ-ხან--შურა. 28 ივლისს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მცხოვრებლებმა სადღესასწაულო სადილი გაუმართეს და ადრესიც მიართვეს სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს გენერალ-მაიორს იუზბაშევს ორმოცდა ათის წლის სამსახურის გამო.

პორტ-არტური. დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს „წითელის ჯვრის“ საავადმყოფოს საძირკველი ჩაჰყარეს ქალაქის მიერ ნაჩუქარს მიწაზე.

პორტ-არტური. ხოლერის გაჩენიდან ორ ივლისიდან ოცამდე ავად გახდა 346 ჩინელი, 45 ევროპიელი და 25 ჯარის კაცი; მოკვდა 219 ჩინელი, 28 ევროპიელი და 11 ჯარის კაცი. ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ზომების გარდა „წითელმა ჯვარმა“ გამართა იაფი სასადილოები, ააშენა დროებითი ბარაკები და ხალხს ადუღებულ წყალს აძლევს. რამდენიმე ათასი ჩინელი „შიშის გამო ჩიფუში გაიქცა.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკი“ იუწყება, რომ 1900 წელს ჩინეთიდან რუსეთში გამოუტანიათ ჩაი 754,414 პიკული, 1901 წელს—651,765 პიკული. პიკული—133$^1/_3$ გირვანქაა.

პეტერბურგი. გზათა მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგს.

29 ივლისს კრასნოე-სელოში ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა სამხედრო სასწავლებელთა მოსწავლენი.

28 ივლისს კრასნოე-სელოში, ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფალის მარიამ თეოდორეს ასულისა და სამეფო გვარეულობის წევრთა თანადასწრებით, გაიმართა საოფიცრო დოღი. უმთავრესს დოღში პირველი პრიზი აიღო როტმისტრმა ნაცვალოვმა.

ხელმწიფე იმპერატორი პეტერბურგს წაბრძანდა.

ეკატერინოსლავი. გუშინ საღამოს დიდი წვიმა მოვიდა. ნიაღვარმა სულ წალეკა უმთავრესი ბაზარი დუქნებით; ზარალი დიდია.

ლონდონი. მეფემ ხალხს აჩუქა ოსბორნის სასახლე მორჩენილ აფიცერთა თავშესაფარისათვის.

სან-რემა. მეორე ეგერის რაზმის უფროსმა პონრივიმ, რომელიც გაგზავნილი იყო ადმინისტრაციის დასახმარებლად ასოციაციების კანონის აღსრულების დროს, უარი განაცხადა ამაზე და საბუთად თავისი სარწმუნოებრივი რწმენანი მოიყვანა. ამის გამო პანრივი სამხედრო სამართალში მისცეს.

30 ივლისი

პეტერბურგი. დაღესტნის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს გენერალმაიორს იუზბაშევს ებოძა წმინდა ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი.

„ტორგ.-პრომ. გაზ.“-ში დაბეჭდილია, რომ ინგლისის ფირმები ტორკინგტონისა აშტონში და ს. მ. რიჩარდსისა აბერგავენში წინადადებას აძლევენ რუსეთის ნავთის მწარმოებელთ პირდაპირი საქმე დაიჭირონ მათთან. ვინც თანახმაა ამ წინადადებისა, მას შეუძლია მიჰმართოს ფინანსთა სამინისტროს აგენტს ლონდონში ს. ს. ტატიშჩევს.. (ლონდონი 107, კრომველი, როად სოუდ, კენსინგტონ ს. ს. ტატიშჩევს.)

„პრავ. ვესტ“.-ში დაბეჭდილია, რომ სახელმწიფო საბჭომ დაადგინა დაარსდეს დონის, ყუბანისა და თერგის ოლქებში ოთხი საავადმყოფო კეთროვანთათვის.

მარსელი. (29 ივლისს საღამოს „ჰავასის სააგენტო“). აქ ჩამოვიდა საფრანგეთის ელჩი სიამში და განაცხადა, რომ სიამთან დიპლომატიური ურთიერთობა არ შეწყვეტილაო. ზოგიერთ საკითხების გამო შეთანხმება ადვილად მოსახერხებელია.

რიაზანი. დღეს გემით »მეჟენი“-თ აქ ჩამოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. მის უმაღლესობას მიეგებნენ გუბერნატორი ბრიან ჩანინოვი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მოხელენი და დიდ-ძალი საზოგადოება. ქალაქის თავმა და მახლობელ სოფელთა მამასახლისებმა პურ-მარილი მიართვეს. დიდმა მთავარმა დაათვალიერა საკრებულო ტაძარი, დედათა მონასტერი, არქეოლოგიური მუზეუმი და თავად-აზნაურთა საკრებულო, ისაუზმა გუბერნატორთან და საღამოს რიაზანიდან გაემგზავრა.

პეტერბურგი. 29 ივლისს, ჯარების დათვალიერების შემდეგ, მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს კრასნოე—სელოს სახედრო საავადმყოფო.

„პრავიტ. ვესტნ.“-ში დაბეჭდილია: „ხელმწიფე იმპერატორმა 20 ივლისს კეთილ ინება და ბრძანა, რომ ძალაში დარჩეს 1900 წლის 7 ივლისის უმაღლესი ბრძანება, რომლითაც პეტერბურგის საშუალო სასწავლებელთა მოწაფენი 21 აგვისტომდე უნდა იქმნან დათხოვნილნი“.

ხარკოვი. 29 ივლისს, საღამოს, „ტივოლის“ ბაღში, ანტრაქტის დროს, ბოროტ-განმზრახველს უნდოდა მოეკლა ხარკოვის გუბერნატორი თავადი ობოლენსკი. 4 ტყვიიდან თავად ობოლენსკის მხოლოდ ერთი მოჰხვდა კისერში დი მსუბუქად დასჭრა. ტყვია მოჰხვდა აგრეთვე ფეხში პოლიცმეისტერს ბეზსონოვს. დამნაშავე შეიპყრეს. ვინ არის, არ იციან.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 26 ივლისს.

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში . . .	94,15
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 10) ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,80
ბერლინზე „	46,27$^1/_2$
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	4$^1/_2$—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	96$^7/_8$ მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . .	99 „
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287$^3/_4$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88$^7/_8$ „
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4$^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი – დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევს 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ ხუთშაბათობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

პირველ ენკენისთვიდან მიმდინარე წლისა, ე. ი. 1902 წ. ქ. **თელავში** დარია შიუკაშვილის სახლებში, რომელიც იმყოფება სასამართლოს ახლო, ვხსნი ქალთა და ვაჟთა მოსამზადებლად სკოლას, რომელთანაც იქნება გამართული პანსიონი **მხოლოდ ქალთათვის.**

თელავის ქალთა სასწავლებლის მასწავლებელი ნინო მიხეილის ასული **შიუკაშვილი**

(ნ. 3—2)

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე, მირზოევის სახლებში **№ 1**, გაიხსნა

ახალი სტამბა

ძმათა თავართქილაძეებისა,

რომელიც დაიწყებს მოქმედებას აგვისტოს პირველიდან.

მიიღება საბეჭდავი საქმეები ყველა ენებზე. სტამბა შემოკვეთილ საქმეებს ასრულებს

სწრაფად და თავის დროზე

ამ სტამბასთან იქნება უმთავრესი საწყობი საკუთარ გამოცემათა.

ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექმნება, ვთხოვთ დღეიდან მოგვმართონ ტფილისის ადრესით: Тифлисъ, бр. Таварткиладзе.

დიდი [illegible] მედალი

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია აღებული.

[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის

და

ამხანაგობისა

ბათუმში.

[illegible] გამძლეობი და იაფი სახურავი

[illegible]

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში **გ. მულიარსკი**

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჭილაძე**

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(50—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 30 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).